82 Law of Georgia on Medical Practice (2001). Confidentiality of Information. Article 48. Legislative Herald of Georgia. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/15334?publication=32>.

83 Semyonov-Tal, K. (2024). Keeping medical information safe and confidential: A qualitative study on perceptions of Israeli physicians. *Israel Journal of Health Policy Research*, 13, 2. <https://doi.org/10.1186/s13584-024-00641-9>.

84 Law of Georgia on Health Care (1997). Article 43. Legislative Herald of Georgia. <https://new.matsne.gov.ge/ka/document/view/29980?publication=58>.

85 Dannemann, G., Schulze, R. (2020). German Civil Code. Volume I: Books 1-3 (§§1-1296), Article-by-Article Commentary. C.H. Beck & Nomos, 1149-1150.

is essentially the same and is related to the following objectives:

- (1) Ensuring that the patient is informed at every stage of treatment, which, as already noted, is one of the doctor's main duties;
- (2) Ensuring an uninterrupted treatment process. Medical documentation enables the doctor to review the patient's history and continue consistent treatment, which is especially important in the event of a change of doctor;
- (3) Ensuring that healthcare personnel carry out their professional activities to a high standard. Knowing that the provided medical service is subject to documentation and control encourages doctors to deliver treatment using the best methods;<sup>86</sup>
- (4) Assessing the quality of treatment and providing evidence for both parties, which is especially important for determining the liability of the medical service provider;<sup>87</sup>
- (5) Ensuring epidemiological and public health. Producing medical documentation helps record statistics on the spread of diseases, which is important for planning preventive measures;
- (6) Supporting medical research and education, which largely depends on the availability of individuals' medical data (in a depersonalized form);<sup>88</sup>
- (7) The effective functioning of the health insurance system and control of pay-

ments, important for avoiding unnecessary medical procedures and optimizing costs.

Thus, producing medical documentation is not only an administrative requirement. It has an important means for ensuring high-quality care and protecting the interests of parties.

## CONCLUSION

In Georgia, the legal norms regulating the relationship between the patient and the medical service provider are spread across different acts. It is advisable to consolidate them into a single legal framework, which will promote the establishment of a unified approach, the traceability of norms, and reduce the risks of conflict between them.

In practice, an important problem is that, compared to the medical service provider, the patient has less ability to negotiate the terms that are favorable to him or her (negotiation power).<sup>89</sup> As a result, the patient usually accepts the terms offered to receive medical services. Considering this, it is important that the rights essential for the patient in receiving medical services be established by law through imperative rather than discretionary norms, which excludes the possibility of limiting them by contract. This is essential for safeguarding patient autonomy and balancing the dominant position of the medical service provider. Such an approach may also prove useful for other post-Soviet countries with transitional legal systems, where the legislation and doctrine regulating the relationship between the patient and the physician are still in the process of formation.

With regard to the parties to a medical service contract, it is unclear whether a minor patient over the age of 16 has the authority to conclude the contract independently. Article 41, paragraph 3 of the Law of Georgia on "Patient

86 Prütting, J. (2023). Germany. In Nys, H. (Ed.), *International Encyclopedia of Laws: Medical Law* (p. 83). Kluwer Law International.

87 Abdelkader, Y. (2025). Towards a Special Compensation System Aligned with the Unique Nature of Civil Liability for Medical Applications of Genetic Engineering. *Law and World*, 34, 45. <https://doi.org/10.36475/L.A.W.14>.

88 Council of Europe. (1997). Recommendation No. R (97) 5 of the Committee of Ministers to Member States on the Protection of Medical Data. Adopted by the Committee of Ministers on 13 February 1997 at the 584<sup>th</sup> meeting of the Ministers' Deputies. <https://rm.coe.int/16804da198>.

89 Dobrijevic, G., Stanisic, M., Masic, B. (2011). Sources of negotiation power: An exploratory study. *South African Journal of Business Management*, 42(2), 35-36. <https://doi.org/10.4102/sajbm.v42i2.493>.

Rights” and Articles 14 and 63 of the Civil Code of Georgia are in conflict. According to the first of them, informed consent expressed by a minor patient over the age of 16 is sufficient to receive medical services, if, in the opinion of the medical service provider, he or she properly understands his or her health condition, while the second of them additionally requires the consent of a parent/legal representative. From the perspective of protecting the best interests of the minor, it is advisable that the above-mentioned conflict of norms be resolved in favor of the regulation established by the Civil Code. An opposite view, which is recognized in common law doctrine, is that a minor may be considered competent if he or she has sufficient ability to adequately perceive and understand the essence of the specific matter.<sup>90</sup>

Another issue is whether the consent of only one parent or legal representative is sufficient. According to the German approach, the consent of both parents or legal representatives is required only in cases involving particular risks.<sup>91</sup> Specifying this matter is also important for Georgian law.

With regard to the treatment of a patient lacking decision-making capacity, it is advisable to apply the rules that govern the treatment of minors (a person under the age of seven), with the difference that in this case, greater impor-

tance is attached to respecting the patient's past wishes and views.

To make healthcare accessible and protect patient rights, the medical service provider must, no matter what type of medical intervention is performed, inform the patient, provide proper care, keep information confidential, and keep medical records. If these duties are violated, legal liability arises.

The content of the obligation to inform the patient is similar in Georgian and German law and covers both medical and administrative issues. Its purpose is to address the information asymmetry between the doctor and the patient and to ensure the full realization of patient autonomy.

The duty of care holds a central place in the treatment process. It means that the medical services given to the patient must be of good quality and follow accepted medical practice. This duty applies once the medical provider has agreed to treat the patient.<sup>92</sup>

In the relationship between the parties, confidentiality and the duty to produce medical records play an important role. Confidentiality ensures the protection, within the limits defined by law, of information disclosed both during and after the treatment process. Producing medical records helps provide consistent treatment and makes it easier to check the accuracy of the services delivered, which is important for determining responsibility and protecting the rights of the parties.

90 Chavleshvili, G. (2023). Informed consent in the medical treatment of minors. *Journal of Medical Law and Management*, 2(3), 97-98.

91 Hagenlocher, U. (2023). Patient information in Germany. *Journal of Medical Law and Management*, 2(3), 42-43.

92 House of Lords. (1951). Decision in the case of *Cassidy v. Ministry of Health*.

## REFERENCES

### Scholarly literature:

Abdelkader, Y. (2025). Towards a Special Compensation System Aligned with the Unique Nature of Civil Liability for Medical Applications of Genetic Engineering. *Law and World*, 34. <https://doi.org/10.36475/L.A.W.14>;

Bakradze, F. (2022). GCC's – 630a-630h para-

graphs – Medical service contract. *Journal of Medical Law and Management*, 1;

Bichia, M. (2019). Features of Protecting the Patient's Personal Autonomy and of Giving Informed Consent (Georgian and European Approaches). *Law and the World*, 12;

Blanchard, C. N. (1921). *Medical Law*. Loyola Law Journal (New Orleans), 2(3);

- Bryden, D., Storey, I. (2011). Duty of care and medical negligence. *Continuing Education in Anaesthesia, Critical Care & Pain*, 11(4). <https://doi.org/10.1093/bja-ceaccp/mkr016>;
- Buchner, B. (2020). Informed consent in Germany. In Vansweevelt, T., Glover-Thomas, N. (Eds.), *Informed consent and health: A global analysis*. Edward Elgar Publishing. <https://doi.org/10.4337/9781788973427.00018>; <https://doi.org/10.4337/9781788973427.00018>
- Chanturia, L. (2011). General part of civil law. Samartali;
- Chavleshvili, G. (2023). Informed consent in the medical treatment of minors. *Journal of Medical Law and Management*, 2(3);
- Dannemann, G., Schulze, R. (2020). German Civil Code. Volume I: Books 1-3 (§§1-1296), Article-by-Article Commentary. C.H. Beck & Nomos;
- Davies, C. E., Shaul, R. Z. (2010). Physicians' legal duty of care and legal right to refuse to work during a pandemic. *CMAJ: Canadian Medical Association Journal*, 182(2). <https://doi.org/10.1503/cmaj.091628>;
- Devereux, J., Beran, R. G. (2022). Medical Negligence Law in Australia. In *Medical Liability in Asia and Australasia*. Springer. <https://doi.org/10.1007/978-981-16-4855-7>;
- Dobrijevic, G., Stanisic, M., Masic, B. (2011). Sources of negotiation power: An exploratory study. *South African Journal of Business Management*, 42(2). <https://doi.org/10.4102/sajbm.v42i2.493>;
- Dughishvili, G. (2022). Informed consent in medicine. *Journal of Medical Law and Management*, 1;
- Gelashvili, I. (2024). Protection of patients lacking the capacity to give consent. *Journal of Medical Law and Management*, 2(5);
- George, R. (2024). Medical Decision-Making about Children. In *Wards of Court and the Inherent Jurisdiction*. Hart Publishing. <<http://dx.doi.org/10.5040/9781509972173.ch-008>>;
- Hagenlocher, U. (2023). Important trends in German judicial practice in the field of medical law in 2021. *Journal of Medical Law and Management*, 2;
- Hagenlocher, U. (2023). Patient information in Germany. *Journal of Medical Law and Management*, 2(3), 3;
- Hagenlocher, U. (2024). Medical Law News in Germany. Important Trends in German Judicial Practice in the First Half of 2022. *Journal of Medical Law and Management*, 1;
- Hagger, L. (2009). *Parental Responsibility and Children's Health Care Treatment. Responsible Parents and Parental Responsibility*. Hart Publishing;
- Hajek, O. (2003). Lord Denning and Medical Law. *Common Law Review*, 5;
- Herring, J. (2022). *Medical Law and Ethics* (9<sup>th</sup> ed.). Oxford University Press;
- Hoppe, N., Moia, J. (2014). *Medical Law and Medical Ethics*. Cambridge University Press;
- Koniaris, V. Th., Konstantinidou, E. S. (2023). Greece. In Nys, H. (Ed.), *International Encyclopedia of Laws: Medical Law*. Kluwer Law International;
- Kvantaliani, N. (2014). *Patient Rights and the Grounds of Civil Liability of Physicians*. World of Lawyers;
- Labariega Villanueva P.A. (2005). Medical Attention Contract. *Juridical Nature. Mexican law review*, January-June. <[http://info8.juridicas.unam.mx/cont/mlawr/3/arc/arc9.htm#N\\*](http://info8.juridicas.unam.mx/cont/mlawr/3/arc/arc9.htm#N*)>;
- Levy, S. (2009). Cultural Influences on Medical Law. *Medicine and Law*, 28(4);
- Lytvynenko, A. A. (2020). A Right of Access to Medical Records: The Contemporary Case Law of the European Court of Human Rights and the Jurisprudence of Germany. *Athens Journal of Law*, 6(1). <https://doi.org/10.30958/ajl.6-1-6>;



- Matytsin, D. E., Plaksunova, T. A. (2020). The content of the contract for the provision of paid medical services: Theoretical and applied analysis. *Issues of Private Law Regulation: History and Modernity*, 19(4). <https://doi.org/10.15688/lc.jvolsu.2020.4.12>;
- Mulheron, R. (2017). *Duties in Contract and Tort*. In *Principles of Medical Law*. Oxford University Press;
- Myronova, G. (2022). The Doctrine of the Patient's Personal Autonomy in Absolute Legal Relations: Directions of Improvement of the Legislation of Ukraine. In *Ukrainian Healthcare Law in the Context of European and International Law*. Springer. [https://doi.org/10.1007/978-3-031-05690-1\\_6](https://doi.org/10.1007/978-3-031-05690-1_6);
- Nys, H. (2024). *European Union Health Law*. In Nys, H. (Ed.), *International Encyclopedia of Laws: Medical Law*. Kluwer Law International;
- Pepanashvili, N. (2016). *Compensation for Damage Caused by a Medical Institution (Doctoral Dissertation)*. [https://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/samartal/nino\\_pepanashvili.pdf](https://press.tsu.ge/data/image_db_innova/samartal/nino_pepanashvili.pdf);
- Prütting, J. (2023). *Germany*. In Nys, H. (Ed.), *International Encyclopedia of Laws: Medical Law*. Kluwer Law International;
- Rusiashvili, G., Kvantaliani, N., Zarandia, T. (2022). Concept of the Journal of Medical Law and Management. *Journal of Medical Law and Management*, 1;
- Semyonov-Tal, K. (2024). Keeping medical information safe and confidential: A qualitative study on perceptions of Israeli physicians. *Israel Journal of Health Policy Research*, 13. <https://doi.org/10.1186/s13584-024-00641-9>;
- Stetsenko, S. G. (2006). Medical error and accidents in the practice of healthcare institutions: Legal aspects. *Expert-Criminalist*, 2;
- Vashakidze, G., Gelashvili, I., Baghishvili, E., Rusiashvili, G., Aladashvili, A., Meskhishvili, K., Mots'onelidze, N., Batlidze, G., Jorbenadze, S., Gatserelia, A., Svadze, G., Robakidze, I. (2019). *Commentary on the Civil Code of Georgia, Book III, Chanturia, L. (Ed.)*;
- Wellman, C. (2005). *Medical Law and Moral Rights*. Springer. <https://doi.org/10.1007/1-4020-3752-X>.

### Normative Acts:

- Council of Europe. (1997). *Convention for the Protection of Human Rights and Dignity of the Human Being with regard to the Application of Biology and Medicine: Convention on Human Rights and Biomedicine*. [https://rm.coe.int/168007cf98?utm\\_source=chatgpt.com](https://rm.coe.int/168007cf98?utm_source=chatgpt.com);
- Council of Europe. (1997). *Recommendation No. R (97) 5 of the Committee of Ministers to Member States on the Protection of Medical Data*. Adopted by the Committee of Ministers on 13 February 1997 at the 584<sup>th</sup> meeting of the Ministers' Deputies. <https://rm.coe.int/16804da198>;
- German Criminal Code (1998). *Violation of private secrets. Section 203. Federal Ministry of Justice*. [https://www.gesetze-im-internet.de/englisch\\_stgb/englisch\\_stgb.html](https://www.gesetze-im-internet.de/englisch_stgb/englisch_stgb.html);
- Law of Georgia on Health Care (1997). *Legislative Herald of Georgia*. <https://new.matsne.gov.ge/ka/document/view/29980?publication=58>;
- Law of Georgia on Medical Practice (2001). *Legislative Herald of Georgia*. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/15334?publication=32>;
- Law of Georgia on Patients' Rights (2000). *Legislative Herald of Georgia*. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16978?publication=15>;
- Law of Georgia on Personal Data Protection (2023). *Legislative Herald of Georgia*. <https://matsne.gov.ge/document/view/5827307?publication=5>;
- World Health Organization. (2006). *Constitution of the World Healthcare Organization*.

tion. <https://apps.who.int/gb/bd/PDF/bd47/EN/constitution-en.pdf?ua=1>;

World Medical Association. (1981). Declaration of Lisbon on the Right of the Patient. <https://www.wma.net/policies-post/wma-declaration-of-lisbon-on-the-rights-of-the-patient/>;

World Medical Association. (2022). WMA International Code of Medical Ethics. <https://www.wma.net/policies-post/wma-international-code-of-medical-ethics/>.

#### Court Cases:

European Court of Human Rights. (2003). Decision in the case of Y v. Turkey;

European Court of Human Rights. (2004). Decision in the case of Glass v. the United Kingdom;

European Court of Human Rights. (2006). Decision in the case of L.L. v. France;

House of Lords. (1951). Decision in the case of Cassidy v. Ministry of Health;

House of Lords. (1957). Decision in the case of Bolam v. Friern Hospital Management Committee;

House of Lords. (1997). Decision in the case of Bolitho v. City and Hackney Health Authority;

Supreme Court of Georgia, Chamber of Civil Cases. (April 30, 2025). Decision № AS-1280-2023;

Supreme Court of Georgia, Chamber of Civil Cases. (March 13, 2025). Decision № AS-962-2024.

#### Other Supporting Materials:

Coalition for Reducing Bureaucracy in Clinical Trials. (2021). Recommendations of the Coalition for Reducing Bureaucracy in Clinical Trials. <https://bureaucracyincls.eu/>;

Parliament of Georgia. (2019). Explanatory note to the draft law on Personal Data Protection. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/222087?>.

კვლევა [PHDF-22-2535] განხილულია შოთა ჰუსთავედის საქართველოს ეხოვნული სა-  
მეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით

# სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულების მხარეები და მათი ძირითადი ვალდებულებები, უპირატესად, ქართული და გერმანული სამართლის მაგალითზე

გიორგი ქანთარია 

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული  
ფაკულტეტის დოქტორანტი, ადვოკატი, მონვეული მკვლევარი, თბილისი-ჰამბურგი,  
საქართველო-გერმანია

 [giorgi.kantaria780@law.tsu.edu.ge](mailto:giorgi.kantaria780@law.tsu.edu.ge)

## აბსტრაქტი

პაციენტისა და სამედიცინო მომსახურების გამწვანის სახელშეკრულებო ურთიერთობების მომწესრიგებელი სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა ან არსებულის გაუმჯობესება ნებისმიერი მართლწესრიგის ძირითადი ამოცანაა. ამ პროცესში აუცილებელია სამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინება, პრაქტიკაში არსებული გამოწვევების ანალიზი და მათზე დაყრდნობით მხარეთა უფლება-მოვალეობების სამართლიან საფუძველზე განსაზღვრა.

წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულების მხარეების სამართლებრივი და ფაქტობრივი მდგომარეობა, მათ წინაშე არსებული გამოწვევები და მათი დაძლევის გზები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა არასრულწლოვანი და გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის არმქონე პაციენტისათვის სამედიცინო მომსახურების განწვანის საკითხს და ამ პროცესში მათი მშობლების, კანონიერი წარმომადგენლების, ნათესავების მონაწილეობის ფარგლებს.

ამასთან, სტატიაში განხილულია სამედიცინო მომსახურების გამწვანის ძირითად ვალდებულებები, ცხადია, მხარეთა კონკრეტული უფლება-მოვალეობები თითოეულ შემთხვევაში, მათი საჭიროებების მიხედვით, ინდივიდუალური ხელშეკრულების საფუძველზე განისაზღვრება, თუმცა მოცემულ შემთხვევაში გაანალიზებულია ის სამართლებრივი და ეთიკური ვალდებულებანი, რომელიც საერთოა ნებისმიერი სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულებისთვის, კერძოდ, სამედიცინო მომსახურების გამწვანის მიერ პაციენტის ინფორმირების, მასზე ზრუნვის, კონფიდენციალურობის დაცვისა და სამედიცინო ჩანაწერების წარმოების ვალდებულება.

სტატია, ძირითადად, მომზადებულია ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით, თუმცა შედარებისთვის ხშირად გამოყენებული პრეცედენტულ-სამართლებრივი დოქტრინა და სხვა ქვეყნების (მათ შორის, პოსტსაბჭოთა) გამოცდილება.

**საკვანძო სიტყვები:** სამედიცინო სამართალი, სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულების მხარეები, პაციენტის წარმომადგენლობა, ექიმის ძირითადი ვალდებულებები.

## შესავალი

პაციენტისა და სამედიცინო მომსახურების გამწვანის ურთიერთობების რეგულირება დიდი მნიშვნელობის მქონეა, როგორც თავად ამ ურთიერთობის სუბიექტთათვის, ისე სახელმწიფოსათვის.<sup>1</sup> მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (World Health Care Organization) თავის კონსტიტუციაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჯანმრთელობის დაცვა თავის თავში მოიაზრებს არამხოლოდ ეფექტიანი ჯანდაცვის სისტემის არსებობას, არამედ მასზე წვდომის შესაძლებლობას,<sup>2</sup> რაც მხოლოდ რელევანტური სამართლებრივი წესრიგის პირობებშია შესაძლებელი.

პრაქტიკაში ექიმისა და პაციენტის ურთიერთობები ძირითადად სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე რეგულირდება,<sup>3</sup> თუმცა თავად ამგვარი ხელშეკრულებების მომწესრიგებელი სპეციალური სამართლებრივი ბაზის შექმნა საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი სამართლებრივი სისტემის მქონე ქვეყნისათვის, დღემდე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. ჩამოყალიბების პროცესშია იურიდიული დოქტრინაც,<sup>4</sup> რაც

პრაქტიკაში ხშირად იწვევს ბუნდოვანებასა და ქმნის მხარეთა ინტერესების უსაფუძვლო შელახვის რისკს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, წინამდებარე სტატიის უმთავრესი კვლევითი კითხვაა, თუ რა ძირითად სამართლებრივ პრინციპებსა და ვალდებულებებს უნდა ეფუძნებოდეს სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სამედიცინო მომსახურების მაღალი ხარისხი, სახელშეკრულებო სამართალიანობა და მხარეთა თანასწორუფლებიანობა. გასათვალისწინებელია, ის გარემოება, რომ პაციენტის მიერ სამედიცინო დაწესებულებისთვის მიმართვა, უმეტეს შემთხვევაში, გამოწვეულია იმ საფრთხის თავიდან აცილების აუცილებლობით, რაც მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ემუქრება, შესაბამისად პრაქტიკაში იგი, ფაქტობრივად, იძულებულია დათანხმდეს სამედიცინო მომსახურების გამწვანის მიერ შემოთავაზებულ სახელშეკრულებო პირობებს, რომლებიც ძირითადად სახელშეკრულებო რისკების პაციენტზე გადასვლასა და ექიმის პასუხისმგებლობის მაქსიმალურად გამორიცხვას ისახავს მიზნად. ამდენად დასაზუსტებელია: 1. თუ რა წარმომადგენს სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულების მხარეთა ძირითად ვალდებულებებს, რომელთა გამორიცხვა ხელშეკრულებით დაუშვებელია და 2. რა მექანიზმებით უნდა მოხდეს პაციენტის ავტონომიის რეალური დაცვა.

ზემოაღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასრულწლოვანი და გაცნობიერებული გადაწყვეტილების უნარის არმ-

1 Blanchard, C. N. (1921). Medical Law. *Loyola Law Journal* (New Orleans), 2(3), 17.

2 World Health Organization. (2006). Constitution of the World Health Care Organization. <https://apps.who.int/gb/bd/PDF/bd47/EN/constitution-en.pdf?ua=1>

3 Labariega Villanueva P.A. (2005). Medical Attention Contract. Juridical Nature. Mexican law review, January-June. [http://info8.juridicas.unam.mx/cont/mlawr/3/arc/arc9.htm#N\\*](http://info8.juridicas.unam.mx/cont/mlawr/3/arc/arc9.htm#N*)

4 რუსიაშვილი, გ., კვანტალიანი, ნ., & ზარანდია, თ. (2022). სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენ-

ტის ჟურნალის კონცეფცია. სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი, 1, 4.



ქონე პაციენტების შემთხვევაში, რომელთა მკურნალობის პროცესში აქტიურად მონაწილეობენ მესამე პირები. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია დაზუსტდეს, რამდენად აქვს არასრულწლოვანს სამედიცინო მომსახურების მიღების საკითხის დამოუკიდებლად გადაწყვეტის უფლებამოსილება; რა ფარგლებში უნდა იყვნენ ჩართულნი მკურნალობის პროცესში პაციენტის მშობლები, კანონიერი წარმომადგენლები ან ნათესავები; რამდენადაა საკმარისი ერთ-ერთი მშობლის თანხმობა არასრულწლოვნის მკურნალობისთვის; როგორ უნდა იმოქმედოს სამედიცინო მომსახურების გამწვანმა, თუ პაციენტის კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნები არ შეესაბამება მკურნალობის საჭიროებებს. ეს საკითხები მნიშვნელოვანია გაცნობიერებული გადაწყვეტილების უნარის არმქონე პაციენტების შემთხვევაშიც.

აღსანიშნავია, რომ სამედიცინო მომსახურების პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პაციენტის ინფორმირება, მასზე ზრუნვა, კონფიდენციალურობის დაცვა და სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება. შესაბამისად, კვლევის ერთ-ერთი მთავარ ნაწილია, ასევე, ამ ვალდებულებათა შინაარსისა და ფარგლების დადგენა.

ამდენად, ნაშრომის მიზანია პაციენტისა და სამედიცინო მომსახურების გამწვანის სამართლებრივი და ფაქტობრივი მდგომარეობის ანალიზის, ასევე, ქართული და უცხოური, უპირატესად გერმანული სამართლის შედარების საფუძველზე პასუხი გასცეს ზემოაღნიშნულ კითხვებს და წარმოაჩინოს შესაბამისი რეკომენდაციები პაციენტისა და სამედიცინო მომსახურების გამწვანის მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოს დასახვეწად.

წინამდებარე საკითხების კვლევის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ იგი სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულების ცალკე სამართლებრივ კატეგორიად ჩამოყალიბების საჭიროებას აყენებს დოგმატურ და შედარებით-სამართლებრივ ქრილში, გერმანული მოდელის ანალიტიკური გათვალისწინებით. ამ საჭიროების

კვლევა მნიშვნელოვანია არამხოლოდ საქართველოსთვის, ასევე სხვა ქვეყნებისთვის, რომელთა სამართალი სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულებას, როგორც ხელშეკრულების სპეციალურ სახეს ცალკე არ აწესრიგებს. კვლევის სიახლე ვლინდება აგრეთვე იმით, რომ პირველად ხდება პაციენტის სუსტი წინასახელშეკრულებო მდგომარეობის, არასრულწლოვანთა უფლებამოსილების და გაცნობიერებული გადაწყვეტილების უნარის არმქონე პაციენტთა სამართლებრივი დაცვის საკითხის ინტეგრირებული ანალიზი.

ამდენად, კვლევა დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობისაა. თეორიული თვალსაზრისით იგი შედარებით-სამართლებრივი მიდგომის საფუძველზე განიხილავს სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულების სუბიექტებს, მათ ინტერესებსა და ძირითად ვალდებულებებს, რაც ქართულ სამართალში ბოლომდე არ არის გამოკვლეული. პრაქტიკული თვალსაზრისით კვლევის შედეგები შესაძლოა გახდეს დამხმარე და განმარტებითი მასალა სასამართლო პრაქტიკისა და სამართლებრივი ჩარჩოს დახვეწისთვის.

**ლიტერატურის მიმოხილვა:** ქართული იურიდიული დოქტრინა პაციენტისა და სამედიცინო სამართლის კვლევითი ნაშრომების სიუხვით არ გამოირჩევა, არსებული ლიტერატურა კი, ძირითადად, ეხება მცდარი სამედიცინო ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების პრობლემას.<sup>5</sup> შესაბამისად, პაციენტისა და სამედიცინო მომსახურების სახელშეკრულებო ურთიერთობებს ნაკლები ყურადღება ეთმობა და არსებული კვლევებიც მხოლოდ ამ ურთიერთობის კონკრეტულ ელემენტებს შეეხება (მაგ.: ინფორმირებული თანხმობა, არასრულწლოვანთა დაცვა და სხვ.).<sup>6</sup>

5 პეპანაშვილი, ნ. (2016). სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება, სადისერტაციო ნაშრომი. 1-240 [https://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/samartal/nino\\_pepanashvili.pdf](https://press.tsu.ge/data/image_db_innova/samartal/nino_pepanashvili.pdf); კვანტალიანი, ნ. (2014). პაციენტის უფლებები და ექიმის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, იურისტების სამყარო.

6 ჩავლეიშვილი, გ. (2023). ინფორმირებული თა-



განსაკუთრებით მცირეა იმ ნაშრომთა რიცხვი, რომელიც სამედიცინო სამართლის ცალკეულ საკითხებს შედარებით-სამართლებრივ ჭრილში განიხილავს.<sup>7</sup> შედარებით მდიდარია გერმანული დოქტრინა, 2013 წლის საკანონმდებლო რეფორმით გერმანიის სამოქალაქო კოდექსს დაემატა 630a-630h-ე პარაგრაფები, რომლებმაც ცალკე მოაწესრიგა სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება. გერმანული სამართალი სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულებას განიხილავს, როგორც სპეციფიკურ ხელშეკრულებას, ვინაიდან მისი შესრულება დამოკიდებულია მომსახურების პროცესზე და არა შედეგზე.<sup>8</sup> გაბატონებული შეხედულებით ექიმი არ არის შედეგის გარანტი.<sup>9</sup> ამ ურთიერთობაში კანონმდებლობა და დოქტრინა წინა პლანზე აყენებს პაციენტის ინფორმირების,<sup>10</sup> ზრუნვის,<sup>11</sup> კონფიდენციალურობისა და სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების ვალდებულებას.<sup>12</sup>

ნხმობა არასრულწლოვანთა სამედიცინო მომსახურებისას. სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი, 2(3), 84-103; გელაშვილი, ი. (2024). თანხმობის გაცხადების უნარის არმქონე პაციენტის დაცვა. სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი, 2(5), 58-82.

- 7 ბიჭია, მ. (2019). პაციენტის პირადი ავტონომიის დაცვისა და ინფორმირებული თანხმობის გაცემის თავისებურებები (ქართული და ევროპული მიდგომები). „სამართალი და მსოფლიო“, 12, 51-67.
- 8 Dannemann, G., & Schulze, R. (2020). *German Civil Code Volume I: Books 1–3 (§§ 1-1296), Article-by-Article Commentary*. C.H. BECK & Nomos, 1149-1150.
- 9 Prütting, J. (2023). Germany. In H. Nys (Ed.), *International Encyclopedia of Laws: Medical Law* (p. 68). Kluwer Law International.
- 10 Buchner, B. (2020). Informed consent in Germany. In T. Vansweevelt & N. Glover-Thomas (Eds.), *Informed consent and health: a global analysis* (pp. 216–234). Edward Elgar Publishing. <https://doi.org/10.4337/9781788973427.00018>.
- 11 ჰაგენლოზი, უ. (2024). სამედიცინო სამართლის სიახლეები გერმანიაში მნიშვნელოვანი ტენდენციები გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში 2022 წლის პირველ ნახევარში. სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი, 1, 1-21.
- 12 Lytvynenko, A., A. (2020). A Right of Access to Medical Records: The Contemporary Case Law of the European Court of Human Rights and the Jurisprudence of Germany. *Athens Journal of Law*, 6(1), 103-122 <https://doi.org/10.30958/ajl.6-1-6>.

პაციენტისა და სამედიცინო მომსახურების გამწვევის ურთიერთობები სასამართლო პრეცედენტების გამოყენებით რეგულირდება საერთო სამართლის ქვეყნებში. მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში ამ მიმართულებით განსაკუთრებით ცნობილი საქმეებია: Bolam v. Friern Hospital Management Committee (1957), Bolitho v. City and Hackney Health Authority (1997), Cassidy v. Ministry of Health (1957) და სხვა. ამ პრეცედენტებით დამკვიდრდა ექიმის მიერ შესასრულებელი ვალდებულებების შინაარსი და მათი შესრულების შეფასების სტანდარტები. საერთაშორისო დონეზე, ექიმის ვალდებულებების კონკრეტიზაცია ჯერ კიდევ ნიურნბერგის კოდექსიდან დაიწყო, რომელშიც ჩამოყალიბდა ინფორმირებული თანხმობის კონცეფცია. ამას მოყვა სამედიცინო ეთიკის საერთაშორისო კოდექსის მიღება 1949 წელს, რომელმაც დაადგინა პროფესიული ეთიკის სტანდარტები.<sup>13</sup> პაციენტის უფლებები კიდევ უფრო განმტკიცდა 1981 წლის ლისაბონის დეკლარაციით<sup>14</sup> და 1997 წლის ოვიედოს კონვენციებით,<sup>15</sup> რაც წინამდებარე სტატიაშია განხილული.

აღნიშნულის გათვალისწინებით, წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში მხოლოდ ფრაგმენტულად განხილული საკითხების შედარებით-სამართლებრივი კვლევის მცდელობას უცხოური გამოცდილების გათვალისწინებით, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში სამედიცინო სამართლის ინსტიტუციურ გაძლიერებას როგორც სამეცნიერო, ისე გამოყენებით დონეზე. ქართული, როგორც პოსტსაბჭოთა გარდა-

- 13 World Medical Association. (2022). WMA International Code of Medical Ethics. <https://www.wma.net/policies-post/wma-international-code-of-medical-ethics/>.
- 14 World Medical Association. (1981). Declaration of Lisbon on the Raight of the Patient, <https://www.wma.net/policies-post/wma-declaration-of-lisbon-on-the-rights-of-the-patient/>.
- 15 Council of Europe. (1997). Convention for the Protection of Human Rights and Dignity of the Human Being with regard to the Application of Biology and Medicine: Convention on Human Rights and Biomedicine. [https://rm.coe.int/168007cf98?utm\\_source=chatgpt.com](https://rm.coe.int/168007cf98?utm_source=chatgpt.com).

მაღალი ქვეყნის, სამართლის შედარება ევროპულ მიდგომებთან საინტერესოა როგორც ევროპული, ისე პოსტსაბჭოთა ქვეყნების სამართლის შემდგომი კვლევისთვისაც.

**მეთოდოლოგია:** კვლევის ცენტრალური მეთოდოლოგიური საფუძველია შედარებით-სამართლებრივი მეთოდი. ნაშრომში ძირითადად შედარებულია საქართველოსა და გერმანიის მოდელები. გერმანული მოდელის შერჩევა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ იგი ყველაზე ახლოს დგას ქართულ სამართალთან კონტინენტური ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით (მაგ.: საფრანგეთი, იტალია და სხვ.). აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გერმანიის სამოქალაქო კოდექსის რეცეფციის საფუძველზეა შექმნილი. ამდენად, გერმანული მოდელი ქართული სამართლისთვის ყველაზე მარტივად შეთავსებადია, რაც შედარებას მეცნიერულად გამართლებულს და კონტექსტურად შესაბამისს ხდის.

კვლევაში ასევე გამოყენებულია ნორმატიულ-დოგმატური მეთოდი, რაც შესაძლებლობას იძლევა მოქმედი სამართლებრივი ნორმების ინტერპრეტაცია განხორციელდეს იურიდიული დოგმების სისტემურ საფუძველზე.

ინდუქციურ-დედუქციური მეთოდები უზრუნველყოფენ ზოგადი პრინციპებიდან კერძო შემთხვევებზე გადასვლას და პირიქით — კერძო შემთხვევების ანალიზიდან ზოგადი დასკვნების გამოტანას.

სისტემური და ლოგიკური ანალიზის მეთოდები გამოიყენება სახელშეკრულებო ელემენტთა ურთიერთკავშირის განსაზღვრისთვის — კერძოდ, პაციენტის ინფორმირების, ზრუნვის, კონფიდენციალურობისა და სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების ვალდებულებების ერთიან სისტემაში განხილვის მიზნით.

## 1. პაციენტი

გერმანული სამართლის თანახმად პაციენტი არის პირი, რომელსაც მკურნალი შეჰპირდა სამედიცინო მომსახურების გა-

წევას.<sup>16</sup> იგი შეიძლება იყოს მხოლოდ ადამიანი<sup>17</sup> და არა ცხოველი, რომელთა მკურნალობის რეგულირება არ განეკუთვნება სამედიცინო სამართლის სფეროს.<sup>18</sup>

საქართველოს საკანონმდებლო აქტებში ტერმინი „პაციენტი“ სხვადასხვაგვარადაა განმარტებული,<sup>19</sup> რაც შესაძლოა საკანონმდებლო ხარვეზად ჩაითვალოს. ერთიანი სტანდარტის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული დეფინიციის დამკვიდრება. ამ ნორმის თანახმად პაციენტი არის ნებისმიერი პირი, რომელიც, მიუხედავად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა, სარგებლობს, საჭიროებს ან აპირებს ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მომსახურებით.

პაციენტის მიმართ სამედიცინო მომსახურების გამწვევს გააჩნია როგორც სამართლებრივი, ისე მორალური და ეთიკური ვალდებულებები,<sup>20</sup> რომლებიც ძირითადად ემსახურებიან, ერთი მხრივ, პაციენტის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების დაცვას, მეორე მხრივ კი, მისი ავტონომიის უზრუნველყოფას.<sup>21</sup> პაციენტის ავტონომია

16 ბაქრაძე, ფ. (2022). გსკ-ის 630a-630h-ე პარაგრაფები – სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება. სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი, 1, 112.

17 Dannemann, G., & Schulze, R. (2020). *German Civil Code Volume I: Books 1–3* (§§ 1-1296), *Article-by-Article Commentary*. C.H. BECK & Nomos, 1149-1150.

18 ჰაგენლოხი, უ. (2024). სამედიცინო სამართლის სიახლეები გერმანიაში მნიშვნელოვანი ტენდენციები გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში 2022 წლის პირველ ნახევარში. სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი, 1, 3.

19 შეად. საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ (1997). მუხლი 3(რ). პარლამენტის უწყებანი. <https://new.matsne.gov.ge/ka/document/view/29980?publication=58>; საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“ (2000). მუხლი 4(დ). საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16978?publication=15>.

20 Prütting, J. (2023). Germany. In H. Nys (Ed.), *International Encyclopedia of Laws: Medical Law* (p. 74). Kluwer Law International.

21 Wellman, C. (2005). *Medical Law and Moral Rights*. Springer. 195 <https://doi.org/10.1007/1-4020-3752-X>.

არის პაციენტის უფლება, დამოუკიდებლად განსაზღვროს მისთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ყველა საკითხი.<sup>22</sup> პრაქტიკაში, ამ უფლების სრულყოფილი რეალიზაციისათვის, ძირითადი პრობლემაა, პაციენტის სუსტი წინასახელშეკრულებო მდგომარეობა. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ხშირად სამედიცინო მომსახურების მიღება აუცილებელია პაციენტის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად, იგი პრაქტიკულად იძულებულია დათანხმდეს სამედიცინო მომსახურების გამწვევის მიერ შემოთავაზებულ სახელშეკრულებო პირობებს, რაც მას ხელშეკრულების სუსტ მხარედ აქცევს.

პაციენტის უფლებების გაუმჯობესების მიზნით, 2013 წელს გერმანიის სამოქალაქო კოდექსში შევიდა ცვლილებები.<sup>23</sup> ამ რეფორმით ძირითადად, გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში იქამდე დამკვიდრებული პრინციპების აღიარება მოხდა,<sup>24</sup> რომლებიც მეტწილად შეეხო პაციენტის ინფორმირების ვალდებულებას<sup>25</sup> და შეიქმნა საკანონმდებლო საფუძვლები პაციენტების უფლებათა დაცვისთვის.

სამედიცინო მომსახურების გამწვევის დომინირებული მდგომარეობის დაბალანსებას პოსტსაბჭოთა ქვეყნები განსხვავებული მექანიზმებით ცდილობენ. მაგალითად, რუსეთის ფედერაციის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ხელშეკრულებაში ისეთი პირობების ჩართვისთვის, რომლებიც არღვევს

მომხმარებლის, მათ შორის პაციენტის კანონით დადგენილ უფლებებს.<sup>26</sup>

საქართველოში სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულების პირობების შინაარსის კონტროლის ფუნქციას ძირითადად სასამართლო ახორციელებს.<sup>27</sup> მხარეთა უფლება-მოვალეობების დაკონკრეტებისა და ბუნდოვანების აღმოფხვრის მიზნით მიზანშეწონილია, სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება, როგორც ხელშეკრულების სპეციალური სახე, სხვა ევროპული ქვეყნების მსგავსად (მაგ., გერმანია),<sup>28</sup> სამოქალაქო კოდექსით დარეგულირდეს, რაც, ხელს შეუწყობს კერძოსამართლებრივი ურთიერთობების ერთ აქტში კოდიფიკაციასა და მხარეთა უფლებრივი თანასწორობის დაცვის სტანდარტის ამაღლებას.

## 1.1. არასრულწლოვანი პაციენტი

საზოგადოებრივი ინტერესი გამორჩეულად მომეტებულია, როცა საქმე ეხება არასრულწლოვანის მკურნალობას. საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენადაა უფლებამოსილი არასრულწლოვანი დამოუკიდებლად მიიღოს სამედიცინო მომსახურება, დღემდე სამართლებრივი დისკუსიის საგანია.<sup>29</sup> ამ თვალსაზრისით ბუნდოვანება არსებობს ქართულ სამართალშიც. „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-3 პუნქტი უფლებას ანიჭე-

22 საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ (1997). მუხლი 3(ა). პარლამენტის უწყებანი. <https://new.matsne.gov.ge/ka/document/view/29980?publication=58>.

23 Prütting, J. (2023). Germany. In H. Nys (Ed.), *International Encyclopedia of Laws: Medical Law* (p. 70). Kluwer Law International.

24 ჰაგენლოხი, უ. (2023). მნიშვნელოვანი ტენდენციები გერმანიის სასამართლო პრაქტიკაში სამედიცინო სამართლის მიმართულებით 2021 წელს. სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი, 2, 1.

25 ჰაგენლოხი, უ. (2023). პაციენტის ინფორმირება გერმანიაში. სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი, 2(3), 3.

26 Матыцин, Д. Е., & Плаксунова, Т.А. (2020). Содержание Договора Об Оказании Платных Медицинских Услуг: Теоретико-Прикладной Анализ. Вопросы Частноправового Регулирования: История И Современность, 19(4), 91 <https://doi.org/10.15688/lc.jvolsu.2020.4.12>.

27 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2025 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება № ას-1280-2023 სამოქალაქო საქმეზე.

28 Dannemann, G., & Schulze, R. (2020). *German Civil Code Volume I: Books 1–3*(§§ 1-1296), Article-by-Article Commentary. C.H. BECK & Nomos, 1149-1162.

29 George, R. (2024). Medical Decision-Making about Children. In *Wards of Court and the Inherent Jurisdiction*. Hart Publishing. 123 <http://dx.doi.org/10.5040/9781509972173.ch-008>.



ბს 16 წელზე მეტი ასაკის არასრულწლოვანს (რომელიც ამავდროულად, სამედიცინო მომსახურების გამწვევის შეხედულებით, სწორად აფასებს საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობას) განაცხადოს ინფორმირებული თანხმობა ან უარი სამედიცინო მომსახურების მიღებაზე, მაშინ, როდესაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-14 მუხლის თანახმად, 18 წელს მიუღწეველი პირი შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა. შესაბამისად, მის მიერ დადებული გარიგება მერყევად ბათილია<sup>30</sup> და საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის მოწონებას.<sup>31</sup> ამდენად არასრულწლოვანს სამედიცინო მომსახურების მისაღებად ესაჭიროება კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა.<sup>32</sup> გამონაკლისია კანონით განსაზღვრული ისეთი პირადი და მგრძნობიარე საკითხები, რომლებშიც მშობლის ჩარევამ შესაძლოა უფრო მეტად გააუარესოს არასრულწლოვანის მდგომარეობა. შედარებისთვის, პრეცედენტულ-სამართლებრივ დოქტრინაში დამკვიდრებულია „გილიკური ქმედუნარიანობის“ (Gillick Competence) ინსტიტუტი, რომლის თანახმად არასრულწლოვანი უფლებამოსილია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება სამედიცინო მომსახურების მიღების თაობაზე, თუ აქვს საკითხის სწორად გააზრების უნარი.<sup>33</sup> გაბატონებული შეხედულებით მშობელი ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი უნდა ხელმძღვანელობდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებით.<sup>34</sup> იმ შემთხვევაში, თუ სამედიცინო მომსახურების გამწვევის შეხედულებით მშობლის ან

სხვა წარმომადგენლის გადაწყვეტილება არ ემსახურება პაციენტის საუკეთესო ინტერესებს, მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს, ხოლო გადაუდებელი შემთხვევის არსებობისას იმოქმედოს სამედიცინო საჭიროებებიდან გამომდინარე.<sup>35</sup> იგივე წესი მოქმედებს მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის არყოფნის დროსაც.<sup>36</sup>

საქმეზე *Glass v. the United Kingdom* (2004) ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევა, ვინაიდან ექიმებმა არასრულწლოვანს, რომელიც მათი შეხედულებით სიკვდილისა და სტადიაში იმყოფებოდა, დედის სურვილის საწინააღმდეგოდ პაციენტს გაუკეთეს ტკივილგამაყუჩებელი (მორფინის ძლიერი დოზა), რაც შესაძლოა მიზანშეწონილი იყო სამედიცინო გარემოებებიდან გამომდინარე, თუმცა სასამართლოს მიერ დარღვევის დადგენის მოტივაციას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ექიმებმა მშობლის უარის მიუხედავად, თვითნებურად, სასამართლოსთვის მიმართვის გარეშე განახორციელეს ჩარევა.<sup>37</sup>

არასრულწლოვანის მკურნალობასთან დაკავშირებით, ასევე დასაზუსტებელია, თუ რამდენადაა საჭირო მისი ორივე მშობლის თანხმობა. ამ კონტექსტში ერთმანეთს უპირისპირდება მშობლების უფლება – თანაბრად იყვნენ ჩართული არასრულწლოვანი შვილების მკურნალობასთან დაკავშირებულ საკითხებში და, მეორე მხრივ, სამედიცინო ბიუროკრატიის შემცირების აუცილებლობა. ამ დილემას ორიგინალურად წყვეტს გერმანული დოქტრინა, რომლის თანახმად ორივე მშობლის თანხმობა საჭიროა მხოლოდ განსაკუთრებული სირთულთა და

30 გელაშვილი, ი. (2024). თანხმობის გაცხადების უნარის არმქონე პაციენტის დაცვა. სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი, 2(5), 61.

31 Hagger, L., (2009). *Parental Responsibility and Children's Health Care Treatment. Responsible Parents and Parental Responsibility*. Hart Publishing. 185-186.

32 გელაშვილი, ი. (2024). თანხმობის გაცხადების უნარის არმქონე პაციენტის დაცვა. სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი, 2(5), 61.

33 ჩავლეიშვილი, გ. (2023). ინფორმირებული თანხმობა არასრულწლოვანთა სამედიცინო მომსახურებისას. სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი, 2(3), 97-98.

34 Hoppe, N., & Moia, J. (2014). *Medical Law and Medical Ethics*, Cambridge University Press. 122.

35 Стеценко, С.Г. (2006). Врачебная ошибка и несчастные случаи в практике работ учреждений здравоохранения: правовые аспекты. Эксперт-криминалист, 2, 31.

36 ჩავლეიშვილი, გ. (2023). ინფორმირებული თანხმობა არასრულწლოვანთა სამედიცინო მომსახურებისას. სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი, 2(3), 95.

37 European Court of Human Rights. (2004). Decision in the case of *Glass v. the United Kingdom*.

მნიშვნელობით გამორჩეული ჩარევისას, რომელიც დადგენილია წინასწარ, სხვა შემთხვევაში, მეორე მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა ივარაუდება.<sup>38</sup> აღნიშნული, პრობლემის გადაჭრის პრაქტიკულ და ეფექტიან გზას წარმოადგენს. შესაბამისად, გასაზიარებელია მოსაზრება ზემოაღნიშნული მიდგომის ქართულ კანონმდებლობაში ასახვის მიზანშეწონილობის თაობაზე.<sup>39</sup>

## 1.2. გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის არმქონე პაციენტი

ადამიანები შეიძლება ჩავარდნენ ისეთ მდგომარეობაში, როცა მოკლებულნი არიან თავიანთი ნების გამოვლენის შესაძლებლობას,<sup>40</sup> რა დროსაც ვერ ახერხებენ მკურნალობასთან დაკავშირებული საკითხების დამოუკიდებლად გადაწყვეტას.<sup>41</sup> კერძო სამართლებრივი თვალსაზრისით გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის არმქონე პაციენტი შეგვიძლია შევადაროთ მცირეწლოვანს. იმ განსხვავებით, რომ მცირეწლოვნების შემთხვევაში პირი ქმედუნაროა ასაკობრივი ნიშნიდან გამომდინარე,<sup>42</sup> ხოლო გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის არმქონე პაციენტი მცირეწლოვნის გარდა შესაძლოა იყოს ზრდასრულიც, რომელიც უბედური შემთხვევის ან მენტალური მდგომარეობის გამო მოკლებულია ნამდვილი ნების გამოვლენის შესაძლებლობას.<sup>43</sup>

გაერთიანებულ სამეფოში ამ კატეგორიის პაციენტების მკურნალობას არეგულირებს სპეციალური სამართლებრივი აქტი — Mental Capacity Act 2005. იგი განსაზღვრავს შესაბამის კრიტერიუმებს ადამიანის მიერ გადაწყვეტილების მიღების უნარის შესაფასებლად და ადგენს, რომ ამ უნარის არქონის შემთხვევაში ნებისმიერი ჩარევა უნდა განხორციელდეს პაციენტის საუკეთესო ინტერესების დაცვით, მისი წარსული სურვილების, შეხედულებებისა და ახლობლების აზრის გათვალისწინებით.<sup>44</sup>

საქართველოში, გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის არმქონე პაციენტის მკურნალობასთან დაკავშირებული ნორმები არ არის მოქცეული ერთ სამართლებრივ აქტში. ამ კატეგორიის პაციენტების მკურნალობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მიიღება მათ მიერ წარსულში (როცა გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი ჰქონდათ) განცხადებული ნების გათვალისწინებით, ხოლო მისი არარსებობისას მათი ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობით.<sup>45</sup> ნათესავისა და კანონიერი წარმომადგენლის გადაწყვეტილებათა კონფლიქტის შემთხვევაში უპირატესია კანონიერი წარმომადგენლის ნება. ნათესავების მონაწილეობა კი პაციენტისათვის სამედიცინო მომსახურების აღმოჩენასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში დამოკიდებულია მათ რიგითობაზე.<sup>46</sup> პაციენტის კანონიერი წარმომადგენლის ან ნათესავის გადაწყვეტილება სამედიცინო მომსახურების გამწვევისთვის სავალდებულოა იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც არასრულწლოვანის შემთხვევაში, რაზედაც ზემოთ ვისაუბრეთ.

38 ჰაგენლოხი, უ. (2023). პაციენტის ინფორმირება გერმანიაში. სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი, 2(3), 42-43.

39 ჩავლეიშვილი, გ. (2023). ინფორმირებული თანხმობა არასრულწლოვანთა სამედიცინო მომსახურებისას. სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი, 2(3), 95.

40 Levy, S. (2009). Cultural Influences on Medical Law. *Medicine and Law*, 28(4), 595-596.

41 Hajek, O. (2003). Lord Denning and Medical Law. *Common Law Review*, 5, 27.

42 ჭანტურია, ლ. (2011). სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი. სამართალი, 180.

43 Koniaris, V. Th., & Konstantinidou, E. S. (2023).

Greece. In H. Nys (Ed.), *International Encyclopedia of Laws: Medical Law* (p. 132). Kluwer Law International.

44 Hoppe, N., & Moia, J. (2014). *Medical Law and Medical Ethics*, Cambridge University Press. 112.

45 საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ (1997). მუხლი 11. პარლამენტის უწყებანი. <https://new.matsne.gov.ge/ka/document/view/29980?publication=58>.

46 საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“ (2000). მუხლი 4(ვ და ე). საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16978?publication=13>.



## 2. სამედიცინო მომსახურების გამწევი

სამედიცინო მომსახურების გამწევი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი,<sup>47</sup> რომელიც პაციენტს, მისი დიაგნოსტიკის, მკურნალობის, პროფილაქტიკის ან სამედიცინო რეაბილიტაციის მიზნით, უტარებს ნებისმიერ მანიპულაციასა და პროცედურას.<sup>48</sup> იურიდიულ დოქტრინაში არსებული ინტერესი სამედიცინო მომსახურების გამწევის, როგორც ხელშეკრულების სუბიექტისადმი, განპირობებულია სამედიცინო მომსახურების მაღალი სოციალური მნიშვნელობით. აღნიშნულის გათვალისწინებით სამედიცინო მომსახურების გამწევზე ვრცელდება დამატებითი ვალდებულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ მკურნალობის მაღალი ხარისხით ჩატარებასა და მხარეთა სახელშეკრულებო თანასწორობის დაცვას.

### 2.1. პაციენტის ინფორმირების ვალდებულება

პაციენტის ინფორმირების ვალდებულება ინფორმირებული თანხმობის კონცეფციის ნაწილია,<sup>49</sup> მისი დეკლარირება პირველად განხორციელდა ნიურნბერგის კოდექსში 1947 წელს,<sup>50</sup> მოგვიანებით ეს პრინციპი აისახა მსოფლიო მედიკოსთა ასოციაციის მიერ 1981 წელს მიღებულ ლისაბონის დეკლარაციაში „პაციენტის უფლე-

ბების შესახებ“.<sup>51</sup> პაციენტის ინფორმირებულობა, როგორც ნებისმიერი სამედიცინო ჩარევის სავალდებულო წინაპირობა გათვალისწინებულია ოვიედოს 1997 წლის კონვენციითაც.<sup>52</sup>

ინფორმირების ვალდებულება გულისხმობს, რომ პაციენტს სამედიცინო მომსახურების განევაძე უნდა მიენოდოს სრულყოფილი ინფორმაცია განზრახული პროფილაქტიკური, დიაგნოსტიკური, სამკურნალო და სარეაბილიტაციო მომსახურების, ასევე ალტერნატიული ვარიანტების, მათი თანმხლები რისკის, შესაძლო ეფექტიანობის, მათზე უარის თქმის მოსალოდნელი შედეგების, სამედიცინო მომსახურების არსებული რესურსების, მათი მიღების სახეების, საფასურისა და ანაზღაურების ფორმების, პაციენტის უფლებებისა და მოვალეობების, სამედიცინო მომსახურების გამწევის ვინაობისა და პროფესიული გამოცდილების შესახებ, ხოლო სამედიცინო მომსახურების დაწყების შემდეგ პაციენტს უნდა ეცნობოს მისი სამედიცინო გამოკვლევების შედეგების, დიაგნოზის, მკურნალობის მიმდინარეობისა და სავარაუდო პროგნოზის თაობაზე.<sup>53</sup>

ამასთან აუცილებელია, რომ პაციენტის ინფორმირება განხორციელდეს მისთვის გასაგები ენით,<sup>54</sup> გრძელი და ბუნდოვანი წინადადებების გარეშე, ინფორმაცია უნდა იყოს მარტივად აღქმადი.<sup>55</sup> მაგალითად,

47 Mulheron, R. (2017). Duties in Contract and Tort. In *Principles of Medical Law*. Oxford university press. 104-105.

48 საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“ (2000). მუხლი 4(ვ და ე). საკანონმდებლო მაცნე. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16978?publication=15>.

49 Dannemann, G., & Schulze, R. (2020). *German Civil Code Volume I: Books 1–3 (§§ 1-1296), Article-by-Article Commentary*. C.H. BECK & Nomos, 1155.

50 Myronova, G. (2022). The Doctrine of the Patient's Personal Autonomy in Absolute Legal Relations: Directions of Improvement of the Legislation of Ukraine. In *Ukrainian Healthcare Law in the Context of European and International Law* (p. 101). Springer. [https://doi.org/10.1007/978-3-031-05690-1\\_6](https://doi.org/10.1007/978-3-031-05690-1_6).

51 World Medical Association. (1981). Declaration of Lisbon on the Raight of the Patient, <https://www.wma.net/policies-post/wma-declaration-of-lisbon-on-the-rights-of-the-patient/>.

52 Council of Europe. (1997). Convention for the Protection of Human Rights and Dignity of the Human Being with regard to the Application of Biology and Medicine: Convention on Human Rights and Biomedicine. [https://rm.coe.int/168007cf98?utm\\_source=chatgpt.com](https://rm.coe.int/168007cf98?utm_source=chatgpt.com).

53 საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“ (2000). მუხლი 18(1). საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16978?publication=15>.

54 დუდაშვილი, გ. (2022). ინფორმირებული თანხმობა მედიცინაში. სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი, 1, 126.

55 Nys, H. (2024). European Union Health Law. In H. Nys (Ed.), *International Encyclopedia of Laws: Medical*

კლინიკურ კვლევებში ბიუროკრატიის შემცირების კოალიციის (The Coalition for Reducing Bureaucracy in Clinical Trials) მიერ შემუშავებული რეკომენდაციების თანახმად, ინფორმირებული თანხმობის მისაღებად პაციენტისთვის მისაწოდებელი ინფორმაცია არ უნდა აღემატებოდეს 1000 სიტყვას.<sup>56</sup>

ინფორმირების ვალდებულება დამკვიდრებულია გერმანულ სამართალშიც.<sup>57</sup> მისი შინაარსი განსაზღვრულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 630e პარაგრაფით, რომლის თანახმად, მკურნალობის გამწევი პირი ვალდებულია პაციენტს უგამონაკლისოდ აუხსნას თანხმობის მისაღებად აუცილებელი არსებითი გარემოებები,<sup>58</sup> რაც უპირატესად წმინდა სამედიცინო საკითხებს გულისხმობს, თუმცა პაციენტისთვის მისაწოდებელი ინფორმაციის მოცულობა ქართულ და გერმანულ სამართალში პრაქტიკულად იგივეა.

ინფორმირების ვალდებულება არ არსებობს, თუ პაციენტმა თავად განაცხადა უარი მის მიღებაზე, ან/და თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ აღნიშნული სერიოზულ ზიანს მიაყენებს პაციენტის ჯანმრთელობას (გარდა იმ შემთხვევისა, თუ პაციენტი დაჟინებით მოითხოვს მის ინფორმირებას),<sup>59</sup> ან/და ადგილი აქვს გადაუდებელი სამედიცინო ჩარევის საჭიროებას.<sup>60</sup>

## 2.2. ზრუნვის ვალდებულება

ტერმინ „ზრუნვის ვალდებულება“ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, თუმცა მისი შინაარსი გამომდინარეობს პაციენტის მკურნალობისა და მოვლის უფლებიდან.<sup>61</sup> ასევე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გულისხმიერების ვალდებულებიდან.<sup>62</sup> „ზრუნვის ვალდებულება“ სამედიცინო სამართალში წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების გამწევის ვალდებულებას, პაციენტის მიმართ გამოიჩინოს მაღალი პროფესიული სტანდარტით დაცული სიფრთხილე, ისეთი როგორსაც ამ დარგში მოღვაწე, სხვა კომპეტენტური ექიმი გამოიჩენდა.<sup>63</sup> იგი აერთიანებს სამედიცინო მომსახურების გამწევის ძირითად მოვალეობებს, ესენია: პაციენტის მოვლა, დიაგნოზის დასმა, სხვა სპეციალისტთან გადამისამართება (საჭიროების შემთხვევაში), მკურნალობა და ინსტრუქტაჟი.<sup>64</sup> ზრუნვის ვალდებულებისთვის დამახასიათებელია, რომ იგი პაციენტის მიმართ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გააჩნიათ სამედიცინო დაწესებულებასა და მკურნალ ექიმს.<sup>65</sup>

პრაქტიკაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დადგინდეს, რა შემთხვევაში ითვლება ზრუნვის ვალდებულება დარ-

Law (p.17). Kluwer Law International.

56 Coalition for Reducing Bureaucracy in Clinical Trials. (2021). Recommendations of the Coalition for Reducing Bureaucracy in Clinical Trials. <https://bureaucracyincls.eu/>.

57 ბაქრაძე, ფ. (2022). გსკ-ის 630a-630h-ე პარაგრაფები – სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება. სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი, 1, 114.

58 Dannemann, G., & Schulze, R. (2020). *German Civil Code Volume I: Books 1–3 (§§ 1–1296), Article-by-Article Commentary*. C.H. BECK & Nomos, 1154–1155.

59 საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“ (2000). მუხლი 20. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16978?publication=15>.

60 Dannemann, G., & Schulze, R. (2020). *German Civil Code Volume I: Books 1–3 (§§ 1–1296), Article-by-Article Commentary*. C.H. BECK & Nomos, 1155–1156.

61 საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“ (2000). თავი II. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16978?publication=15>.

62 ვაშაკიძე, გ., გელაშვილი, ი., ბალიშვილი, ე., რუსიაშვილი, გ., ალადაშვილი, ა., მესხიშვილი, ქ., მოწონელიძე, ნ., ბათლიძე, გ., ჯორბენაძე, ს., გაწერელია, ა., სვანაძე, გ., & რობაქიძე, ი. (2019). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III (რედ. ჭანტურია, ლ.) 25.

63 Hoppe, N., & Moia, J. (2014). *Medical Law and Medical Ethics*, Cambridge University Press. 48.

64 Davies, C. E., & Shaul, R. Z. (2010). Physicians' legal duty of care and legal right to refuse to work during a pandemic. *CMAJ: Canadian Medical Association Journal*, 182(2), 167 <https://doi.org/10.1503/cmaj.091628>.

65 Devereux, J., & Beran, R. G. (2022). Medical Negligence Law in Australia. In *Medical Liability in Asia and Australasia* (p. 11). Springer. <https://doi.org/10.1007/978-981-16-4855-7>.

ღვეულად. საერთო სამართლის ქვეყნებში (მაგალითად, დიდი ბრიტანეთი) აღნიშნულის შესაფასებლად გამოიყენება „ბოლამის სტანდარტი“, რომლის თანახმადაც ექიმის პასუხისმგებლობა ფასდება იმით, მოქმედებდა თუ არა ის გონივრულად მიღებული და ავტორიტეტული პროფესიული პრაქტიკის შესაბამისად.<sup>66</sup> თუ ექიმის ქცევა შეესაბამება „საპატიო და კომპეტენტური სპეციალისტების ჯგუფის მიერ მიღებულ პრაქტიკას“, მაშინ მას არ ევალება ზიანის ანაზღაურება.<sup>67</sup> „ბოლამის სტანდარტი“ უფრო მეტად დაიხვეწა გაერთიანებული სამეფოს ლორდთა პალატის მიერ განხილულ საქმეში – *Bolitho v. City and Hackney Health Authority* (1997) და დადგინდა, რომ პროფესიულ სტანდარტთან შესაბამისობის გარდა ექიმმა უნდა დაასაბუთოს თუ რატომ აირჩია მკურნალობის კონკრეტული მეთოდი.<sup>68</sup>

საქართველოში „ბოლამის სტანდარტი“ პირდაპირ არ გამოიყენება, თუმცა სასამართლო პრაქტიკა ექიმის პასუხისმგებლობის დადგენას აქაც პროფესიულ სტანდარტთან შეუსაბამო ქმედებასა და სამედიცინო მიზნების მიუღწევლობას უკავშირებს.<sup>69</sup> მსგავსი მიდგომაა დამკვიდრებულ გერმანულ სამართალშიც.<sup>70</sup> აღნიშნული კი განსხვავებულ სამართლებრივ სისტემებში ზრუნვის ვალდებულების შინაარსის ერთიანი გაგების მაჩვენებელია.

## 2.3. კონფიდენციალურობის ვალდებულება

სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული ინფორმაცია ეხება ადამიანის მეტად პირადულ სფეროს, კერძოდ, მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.<sup>71</sup> ამდენად, მისი კონფიდენციალურობის დაცვა სამედიცინო მომსახურების გამწვევის ძირითადი ვალდებულებაა.<sup>72</sup> ეს ვალდებულება გამომდინარეობს ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვის ძირითადი უფლებიდან<sup>73</sup> და პაციენტის გარდაცვალების შემდეგაც მოქმედებს.<sup>74</sup>

ევროკავშირის მასშტაბით, 2018 წლის 25 მაისიდან ძალაშია ზოგადი მონაცემთა დაცვის რეგულაცია (General Data Protection Regulation – GDPR), რომელიც რიგ საკითხებთან ერთად, არეგულირებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავებას.<sup>75</sup> GDPR-ით გათვალისწინებულ რეგულაციებთან დაახლოების მიზნით საქართველოს პარლამენტმა 2023 წლის 14 ივნისს მიიღო საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“,<sup>76</sup> რომელმაც პირის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემები განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებად განსაზღვრა და მისი უსაფუძვლო დამუშავებისთვის ფულადი ჯარიმაც გაითვალისწინა.<sup>77</sup> შედა-

66 House of Lords. (1957). Decision in the case of *Bolam v. Friern Hospital Management Committee*.

67 Bryden, D., & Storey, I. (2011). Duty of care and medical negligence. *Continuing Education in Anaesthesia, Critical Care & Pain*, 11(4), 125. <https://doi.org/10.1093/bjaceaccp/mkr016>.

68 House of Lords. (1997). Decision in the case of *Bolitho v. City and Hackney Health Authority*.

69 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2025 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება №ას-962 – 2024 საქმეზე.

70 Dannemann, G., & Schulze, R. (2020). *German Civil Code Volume I: Books 1–3 (§§ 1–1296), Article-by-Article Commentary*. C.H. BECK & Nomos, 1149–1150.

71 Hoppe, N., & Moia, J. (2014). *Medical Law and Medical Ethics*, Cambridge University Press. 16.

72 World Medical Association. (2022). WMA International Code of Medical Ethics. <https://www.wma.net/policies-post/wma-international-code-of-medical-ethics/>.

73 Hoppe, N., & Moia, J. (2014). *Medical Law and Medical Ethics*, Cambridge University Press. 21.

74 European Court of Human Rights. (2006). Decision in the case of *L.L. v. France*.

75 Prütting, J. (2023). Germany. In H. Nys (Ed.), *International Encyclopedia of Laws: Medical Law* (p. 76). Kluwer Law International.

76 საქართველოს პარლამენტი. (2019). განმარტებითი ბარათი კანონპროექტზე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/222087?>

77 საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ (2023). ტერმინთა განმარტება. მუხლი 3(ბ და გ). განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება ამ კანონით გათვალისწინ-



რებისთვის, კონფიდენციალურობის დარღვევის შემთხვევაში გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 203-ე მუხლი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.<sup>78</sup>

პრაქტიკაში კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა განსაკუთრებით რთულია, როცა პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით მისი მკურნალობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში მესამე პირები მონაწილეობენ. ამ შემთხვევაში აუცილებელია დაცული იქნეს ბალანსი პაციენტის ინფორმაციის კონფიდენციალურობასა და ზედმეტი ბიუროკრატიული ბარიერების შემცირებას შორის.

აღსანიშნავია, რომ კონფიდენციალურობა არ არის აბსოლუტური და იგი შეიძლება შეიზღუდოს გარკვეულ შემთხვევებში.<sup>79</sup> მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა დარღვევა, როდესაც სამედიცინო პერსონალმა საავადმყოფოს სხვა თანამშრომელს გაუზიარა ინფორმაცია პაციენტის აივ დადებითი სტატუსის შესახებ.<sup>80</sup> საქართველოში კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება დასაშვებია, თუ: მიღებულია პაციენტის თანხმობა, ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა საფრთხეს უქმნის მესამე პირის (რომლის ვინაობაც ცნობილია) სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, სასწავლო ან სამეცნიერო მიზნით პაციენტის შესახებ ინფორმაციის გამოყენებისას მონაცემები ისეა წარმოდგენილი, რომ შეუძლებელია პიროვნების იდენტიფიკაცია, ინფორმაცია ეხება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შესაძლო ჩადენის ფაქტს და არსებობს ძალადობის განმეორების სა-

შიშროება (ეს ინფორმაცია ეცნობება მხოლოდ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს), ამას ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა,<sup>81</sup> ასევე, ისეთ შემთხვევებში, როდესაც არსებობს დასაბუთებული ეჭვი სავალდებულო აღრიცხვას დაქვემდებარებულ დაავადებაზე, ინფორმაცია მიეწოდება სამედიცინო მომსახურების მონაწილე სხვა სამედიცინო პერსონალს, ინფორმაციის გამჟღავნება აუცილებელია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზისათვის, ინფორმაციის გამჟღავნებას მოითხოვენ სამართალდამცველი ორგანოები (სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად).<sup>82</sup>

კონფიდენციალურობის ვალდებულება არ არის მხოლოდ პირადი ცხოვრების დაცვის გარანტია, იგი ხელს უწყობს ექიმსა და პაციენტს შორის ნდობის ჩამოყალიბებას,<sup>83</sup> რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია სამედიცინო მომსახურების წარმატებისათვის.

## 2.4. სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების ვალდებულება

საქართველოში ექიმი და ჯანმრთელობის დაცვის სხვა პერსონალი ვალდებული არიან დადგენილი წესით აწარმოონ ჩანაწერები სამედიცინო დოკუმენტაციაში, რომელთა წარმოების წესი მტკიცდება კანონქვემდებარე აქტით – მინისტრის ბრძანებით.<sup>84</sup> გერმანიაში სამედიცინო დო-

ნებული საფუძვლების გარეშე. მუხლი 68. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. <https://matsne.gov.ge/document/view/5827307?publication=5>.

78 German Criminal Code (1998). Violation of private secrets. Section 203. Federal Ministry of Justice. [https://www.gesetze-im-internet.de/englisch\\_stgb/englisch\\_stgb.html](https://www.gesetze-im-internet.de/englisch_stgb/englisch_stgb.html).

79 Herring, J. (2022). *Medical Law and Ethics* (9th ed.). Oxford University Press. 305.

80 European Court of Human Rights. (2003). Decision in the case of Y v. Turkey.

81 საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“ (2000). მუხლი 28(1). საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16978?publication=15>.

82 საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“ (2001). ინფორმაციის კონფიდენციალობა. მუხლი 48. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/15334?publication=32>.

83 Semyonov-Tal, K. (2024). Keeping medical information safe and confidential: A qualitative study on perceptions of Israeli physicians. *Israel Journal of Health Policy Research*, 13,2 <https://doi.org/10.1186/s13584-024-00641-9>.

84 საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ (1997). მუხლი 43. პარლამენტის უწყებანი. <https://new.matsne.gov.ge/ka/document/>



კუმენტაციის წარმოების ვალდებულება განსაზღვრულია სამოქალაქო კოდექსის 630f პარაგრაფით.<sup>85</sup> აღსანიშნავია, რომ სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების დანიშნულება საქართველოსა და სხვა ქვეყნებში არსებითად საერთოა და დაკავშირებულია შემდეგი მიზნების რეალიზაციასთან:

- (1) პაციენტის ინფორმირების უზრუნველყოფა მკურნალობის ნებისმიერ ეტაპზე, რაც როგორც უკვე აღნიშნა, ექიმის ერთ-ერთი ძირითადი ვალდებულებაა.
- (2) შეუფერხებელი მკურნალობის პროცესის განხორციელება. სამედიცინო დოკუმენტაცია შესაძლებლობას აძლევს ექიმს გაეცნოს პაციენტის ისტორიას და გააგრძელოს თანმიმდევრული მკურნალობა, აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ექიმის შეცვლის შემთხვევაში.
- (3) ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის მიერ პროფესიული საქმიანობის მაღალი სტანდარტით განხორციელება. იმის ცოდნა, რომ გაწეული სამედიცინო მომსახურება დოკუმენტირებასა და კონტროლს ექვემდებარება უბიძგებს ექიმს მკურნალობა განახორციელოს საუკეთესო მეთოდით.<sup>86</sup>
- (4) მკურნალობის ხარისხის შეფასება და მხარეთა მტკიცებულებებით უზრუნველყოფა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამედიცინო მომსახურების გამწევის პასუხისმგებლობის დადგენისათვის.<sup>87</sup>
- (5) ეპიდემიოლოგიური და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უზრუნ-

ველყოფა. სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება ხელს უწყობს დაავადების გავრცელების სტატისტიკის წარმოებას, რაც მნიშვნელოვანია პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისთვის.

- (6) სამედიცინო კვლევისა და განათლების მხარდაჭერა, რაც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული რეალური სამედიცინო მონაცემების ხელმისაწვდომობაზე (დეპერსონალიზებული ფორმით).<sup>88</sup>
- (7) ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემის ეფექტიანი განხორციელება და გადახდების კონტროლი, რაც მნიშვნელოვანია ზედმეტი სამედიცინო პროცედურის თავიდან აცილებისა და ხარჯების ოპტიმიზაციისთვის.

ამრიგად, სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება არაა მხოლოდ ადმინისტრაციული მოთხოვნა. იგი მნიშვნელოვანი საშუალებაა მომსახურების მაღალი ხარისხისა და მხარეთა ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად.

## დასკვნა

საქართველოში პაციენტის და სამედიცინო მომსახურების გამწევის სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები მოქცეულია სხვადასხვა აქტებში. მიზანშეწონილია მათი ერთ სამართლებრივ ჩარჩოში კონსოლიდაცია, რაც ხელს შეუწყობს ერთიანი მიდგომის დამკვიდრებას, ნორმათა მიკვლევადობას და შეამცირებს კოლიზიის რისკებს.

პრაქტიკაში, მნიშვნელოვანი პრობლემაა ის გარემოება, რომ პაციენტს სამედიცინო მომსახურების გამწევთან შედარებით აქვს ნაკლები შესაძლებლობა, შეთანხმებას მიაღწიოს მისთვის სასურველი პირო-

view/29980?publication=58.

85 Dannemann, G., & Schulze, R. (2020). *German Civil Code Volume I: Books 1–3 (§§ 1–1296), Article-by-Article Commentary*. C.H. BECK & Nomos, 1149–1150.

86 Prütting, J. (2023). Germany. In H. Nys (Ed.), *International Encyclopedia of Laws: Medical Law* (p. 83). Kluwer Law International.

87 Abdelkader, Y. (2025). Towards a Special Compensation System Aligned with the Unique Nature of Civil Liability for Medical Applications of Genetic Engineerin. *Law and World*, 34. 45 doi.org/10.36475/L.A.W.14.

88 Council of Europe. (1997). Recommendation No. R (97) 5 of the Committee of Ministers to Member States on the Protection of Medical Data. Adopted by the Committee of Ministers on 13 February 1997 at the 584th meeting of the Ministers' Deputies. <https://rm.coe.int/16804da198>.

ბებით (Negotiation Power),<sup>89</sup> რის გამოც იგი სამედიცინო მომსახურების მისაღებად ძირითადად ეთანხმება შემოთავაზებულ პირობებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ის უფლებები, რაც პაციენტისთვის არსებითია სამედიცინო მომსახურების მიღებისას დადგენილი იყოს საკანონმდებლო საფუძველზე, იმპერატიული და არა დისპოზიციური ნორმებით, რაც გამორიცხავს ხელშეკრულების საფუძველზე რომელიმე მათგანის შეზღუდვის შესაძლებლობა. აღნიშნული მნიშვნელოვანია პაციენტის ავტონომიის დაცვისა და სამედიცინო მომსახურების გამწევის დომინანტური მდგომარეობის დაბალანსებისთვის. ამგვარი, მიდგომა შესაძლოა გამოსადეგი იყოს სხვა პოსტსაბჭოთა გარდამავალი სამართლებრივი სისტემის მქონე ქვეყნებისთვისაც, რომლებშიც პაციენტისა და ექიმის ურთიერთობების მარეგულირებელი კანონმდებლობა და დოქტრინა ჩამოყალიბების პროცესშია.

სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულების მხარეებთან დაკავშირებით, ბუნდოვანია, აქვს თუ არა 16 წელს გადაცილებულ არასრულწლოვან პაციენტს ხელშეკრულების დამოუკიდებლად დადების უფლებამოსილება. ამ თვალსაზრისით კოლიზიაშია „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-3 პუნქტი და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-14 და 63-ე მუხლები. პირველი მათგანის მიხედვით სამედიცინო მომსახურების მისაღებად საკმარისია 16 წელზე მეტი ასაკის არასრულწლოვანი პაციენტის, მიერ გამოვლენილი ინფორმირებულ თანხმობა, იმ შემთხვევაში თუ სამედიცინო მომსახურების გამწევის შეხედულებით, სწორად აფასებს საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობას, მეორე მათგანი კი დამატებით მშობლის/ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის აუცილებლობაზე მიუთითებს. არასრულწლოვანის საუკეთესო

ინტერესების დაცვიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ზემოაღნიშნული ნორმათა კოლიზია, სამოქალაქო კოდექსით დადგენილი რეგულაციის სასარგებლოდ გადაწყდეს. საპირისპირო მოსაზრებაა დამკვიდრებული პრეცედენტულსამართლებრივი დოქტრინით, რომლის თანახმად, არასრულწლოვანი შეიძლება ჩაითვალოს უფლებამოსილად, იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს საკმარისი უნარი კონკრეტული საკითხის არსის ადეკვატური აღქმისა და გააზრებისათვის.<sup>90</sup>

სხვა საკითხია, თუ რამდენადაა საკმარისი მხოლოდ ერთი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. გერმანული მიდგომით, ორივე მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა საჭიროა მხოლოდ განსაკუთრებული რისკის არსებობის შემთხვევაში.<sup>91</sup> აღნიშნულის დაკონკრეტება მნიშვნელოვანია ქართული სამართლისთვისაც.

გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის არმქონე პაციენტის მკურნალობასთან მიმართებით, მიზანშეწონილია გამოყენებული იქნეს ის ნორმები, რაც ეხება მცირეწლოვნის მკურნალობას, იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება პაციენტის წარსული სურვილებისა და შეხედულებების გაზიარებას.

ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობისა და პაციენტის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, სამედიცინო მომსახურების გამწევის მის მიერ განსახორციელებელი სამედიცინო ჩარევის სახის მიუხედავად ეკისრება: პაციენტის ინფორმირების, ზრუნვის, კონფიდენციალურობისა და სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების ვალდებულება, რომელთა დარღვევა იწვევს სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

პაციენტის ინფორმირების ვალდებუ-

89 Dobrijevic, G., Stanisic, M., & Masic, B. (2011). Sources of negotiation power: An exploratory study. *South african Journal of Business Management*, 42(2), 35-36. <https://doi.org/10.4102/sajbm.v42i2.493>.

90 ჩავლეიშვილი, გ. (2023). ინფორმირებული თანხმობა არასრულწლოვანთა სამედიცინო მომსახურებისას. სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი, 2(3), 97-98.

91 ჰაგენლოზი, უ. (2023). პაციენტის ინფორმირება გერმანიაში. სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი, 2(3), 42-43.

ლების შინაარსი ქართულ და გერმანულ სამართალში მსგავსია და მოიცავს როგორც სამედიცინო, ისე ადმინისტრაციული საკითხებს. მისი მიზანია ექიმსა და პაციენტს შორის ცოდნაში არსებული დისბალანსის შემცირება და პაციენტის ავტონომიის სრულყოფილ რეალიზაცია.

მკურნალობის პროცესში ცენტრალური ადგილი უჭირავს ზრუნვის ვალდებულებას. იგი განსაზღვრავს, რომ პაციენტისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურება იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს საყოველთაოდ აღიარებულ სამედიცინო პრაქტიკას. ზრუნვის ვალდებულება ვრცელდება ხელშეკრულების მოქმედების ეტაპზე, ანუ მას შემდეგ, რაც სამედიცინო მომსახურების გამწევი დათანხმდება მკურნალობის გაწევას.<sup>92</sup>

92 House of Lords. (1951). Decision in the case of Cassidy v. Ministry of Health.

მხარეთა ურთიერთობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კონფიდენციალურობისა და სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების ვალდებულებას. კონფიდენციალურობა უზრუნველყოფს როგორც სამედიცინო მომსახურების პროცესში, ისე მის შემდგომ პაციენტის მკურნალობის პროცესში გამჟღავნებული ინფორმაციის დაცვას კანონით განსაზღვრულ ფარგლებში. სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება კი ხელს უწყობს თანმიმდევრული მკურნალობასა და აიოლებს გაწეული მომსახურების სისწორის კონტროლს, რაც მნიშვნელოვანია მხარეთა პასუხისმგებლობის ზუსტი განსაზღვრისა და მათივე უფლებების დაცვისთვის.

## გამოყენებული ლიტერატურა

### სამეცნიერო ლიტერატურა:

ბაქრაძე, ფ. (2022). გსკ-ის 630a-630h-ე პარაგრაფები – სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება. სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი, 1;

ბიჭია, მ. (2019). პაციენტის პირადი ავტონომიის დაცვისა და ინფორმირებული თანხმობის გაცემის თავისებურებები (ქართული და ევროპული მიდგომები). „სამაჩთარი და მსოფლიო“, 12;

გელაშვილი, ი. (2024). თანხმობის გაცხადების უნარის არმქონე პაციენტის დაცვა. სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი, 2(5);

დულაშვილი, გ. (2022). ინფორმირებული თანხმობა მედიცინაში. სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი, 1;

ვაშაკიძე, გ., გელაშვილი, ი., ბალიშვილი, ე., რუსიაშვილი, გ., ალადაშვილი, ა., მესხიშვილი, ქ., მოწონელიძე, ნ., ბათლიძე, გ., ჯორბენაძე, ს., განერელია, ა., სვანაძე, გ., & რობაქიძე, ი. (2019).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III (რედ. ჭანტურია, ლ.);

კვანტალიანი, ნ. (2014). პაციენტის უფლებები და ექიმის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, იურისტების სამყარო;

პეპანაშვილი, ნ. (2016). სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება, სადისერტაციო ნაშრომი. [https://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/samartal/nino\\_pepanashvili.pdf](https://press.tsu.ge/data/image_db_innova/samartal/nino_pepanashvili.pdf);

რუსიაშვილი, გ., კვანტალიანი, ნ., & ზარანდია, თ. (2022). სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალის კონცეფცია. სამედიცინო



- ნო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი, 1;
- ჩავლეიშვილი, გ. (2023). ინფორმირებული თანხმობა არასრულწლოვანთა სამედიცინო მომსახურებისას. სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი, 2(3);
- ჭანტურია, ლ. (2011). სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი. სამართალი;
- პაგენლოხი, უ. (2023). მნიშვნელოვანი ტენდენციები გერმანიის სასამართლო პრაქტიკაში სამედიცინო სამართლის მიმართულებით 2021 წელს. სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი, 2;
- პაგენლოხი, უ. (2023). პაციენტის ინფორმირება გერმანიაში. სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი, 2(3);
- პაგენლოხი, უ. (2024). სამედიცინო სამართლის სიახლეები გერმანიაში მნიშვნელოვანი ტენდენციები გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში 2022 წლის პირველ ნახევარში. სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი, 1.
- Abdelkader, Y. (2025). Towards a Special Compensation System Aligned with the Unique Nature of Civil Liability for Medical Applications of Genetic Engineerin. *Law and World*, 34. doi.org/10.36475/L.A.W.14;
- Blanchard, C. N. (1921). Medical Law. *Loyola Law Journal (New Orleans)*, 2(3);
- Bryden, D., & Storey, I. (2011). Duty of care and medical negligence. *Continuing Education in Anaesthesia, Critical Care & Pain*, 11(4), <https://doi.org/10.1093/bjaceaccp/mkr016>;
- Buchner, B. (2020). Informed consent in Germany. In T. Vansweevelt & N. Glover-Thomas (Ed.). *Informed consent and health: a global analysis* (pp. 216–234). Edward Elgar Publishing. <https://doi.org/10.4337/9781788973427.00018>;
- Dannemann, G., & Schulze, R. (2020). *German Civil Code Volume I: Books 1–3*(§§ 1-1296), *Article-by-Article Commentary*. C.H. BECK & Nomos;
- Davies, C. E., & Shaul, R. Z. (2010). Physicians' legal duty of care and legal right to refuse to work during a pandemic. *CMAJ: Canadian Medical Association Journal*, 182(2). <https://doi.org/10.1503/cmaj.091628>;
- Devereux, J., & Beran, R. G. (2022). Medical Negligence Law in Australia. In *Medical Liability in Asia and Australasia*. Springer. <https://doi.org/10.1007/978-981-16-4855-7>;
- Dobrijevic, G., Stanisic, M., & Masic, B. (2011). Sources of negotiation power: An exploratory study. *South african Journal of Business Management*, 42(2), <https://doi.org/10.4102/sajbm.v42i2.493>;
- George, R. (2024). Medical Decision-Making about Children. In *Wards of Court and the Inherent Jurisdiction*. Hart Publishing. <http://dx.doi.org/10.5040/9781509972173.ch-008>;
- Hagger, L., (2009). *Parental Responsibility and Children's Health Care Treatment. Responsible Parents and Parental Responsibility*. Hart Publishing;
- Hajek, O. (2003). Lord Denning and Medical Law. *Common Law Review*, 5;
- Hoppe, N., & Moia, J. (2014). *Medical Law and Medical Ethics*, Cambridge University Press;
- Herring, J. (2022). *Medical Law and Ethics* (9th ed.). Oxford University Press;
- Koniaris, V. Th., & Konstantinidou, E. S. (2023). Greece. In H. Nys (Ed.), *International Encyclopedia of Laws: Medical Law*. Kluwer Law International;
- Labariega Villanueva P.A. (2005). Medical Attention Contract. Juridical Nature. Mexican law review, January-June. [http://info8.juridicas.unam.mx/cont/mlawr/3/arc/arc9.htm#N\\*](http://info8.juridicas.unam.mx/cont/mlawr/3/arc/arc9.htm#N*);
- Levy, S. (2009). Cultural Influences on Medical Law. *Medicine and Law*, 28(4);



- Lytvynenko, A., A. (2020). A Right of Access to Medical Records: The Contemporary Case Law of the European Court of Human Rights and the Jurisprudence of Germany. *Athens Journal of Law*, 6(1), <https://doi.org/10.30958/ajl.6-1-6>;
- Maclean, A. (2001). *Briefcase on Medical Law*. Cavendish Publishing;
- Mulheron, R. (2017). Duties in Contract and Tort. In *Principles of Medical Law*. Oxford university press;
- Myronova, G. (2022). The Doctrine of the Patient's Personal Autonomy in Absolute Legal Relations: Directions of Improvement of the Legislation of Ukraine. In *Ukrainian Healthcare Law in the Context of European and International Law*. Springer. [https://doi.org/10.1007/978-3-031-05690-1\\_6](https://doi.org/10.1007/978-3-031-05690-1_6);
- Nys, H. (2024). European Union Health Law. In H. Nys (Ed.), *International Encyclopedia of Laws: Medical Law*. Kluwer Law International;
- Prütting, J. (2023). Germany. In H. Nys (Ed.), *International Encyclopedia of Laws: Medical Law*. Kluwer Law International;
- Saramet, O. (2020). The Right to Protection to Health or the Right to Health? – Constitutional Approaches. *Jus et Civitas: A Journal of Social and Legal Studies*, 7(1);
- Semyonov-Tal, K. (2024). Keeping medical information safe and confidential: A qualitative study on perceptions of Israeli physicians. *Israel Journal of Health Policy Research*, 13. <https://doi.org/10.1186/s13584-024-00641-9>;
- Wellman, C. (2005). *Medical Law and Moral Rights*. Springer. <https://doi.org/10.1007/1-4020-3752-X>.
- საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“ (2000). საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16978?publication=15>;
- საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“ (2001). საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/15334?publication=32>;
- საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ (1997). საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=135>;
- საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ (2023). საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. <https://matsne.gov.ge/document/view/5827307?publication=5>.
- Council of Europe. (1997). Convention for the Protection of Human Rights and Dignity of the Human Being with regard to the Application of Biology and Medicine: Convention on Human Rights and Biomedicine. [https://rm.coe.int/168007cf98?utm\\_source=chatgpt.com](https://rm.coe.int/168007cf98?utm_source=chatgpt.com).
- Council of Europe. (1997). Recommendation No. R (97) 5 of the Committee of Ministers to Member States on the Protection of Medical Data. Adopted by the Committee of Ministers on 13 February 1997 at the 584th meeting of the Ministers' Deputies. <https://rm.coe.int/16804da198>;
- German Criminal Code (1998). Federal Ministry of Justice. [https://www.gesetze-im-internet.de/englisch\\_stgb/englisch\\_stgb.html](https://www.gesetze-im-internet.de/englisch_stgb/englisch_stgb.html);
- World Health Organization. (2006). Constitution of the World Health Care Organization. <https://apps.who.int/gb/bd/PDF/bd47/EN/constitution-en.pdf?ua=1>;
- World Medical Association. (1981). Declaration of Lisbon on the Rights of the Patient, <https://www.wma.net/>

### სამართლებრივი აქტები:

- საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ (1997). პარლამენტის უწყებანი. <https://new.matsne.gov.ge/ka/document/view/29980?publication=58>;

policies-post/wma-declaration-of-lisbon-on-the-rights-of-the-patient/;

World Medical Association. (2022). WMA International Code of Medical Ethics. <https://www.wma.net/policies-post/wma-international-code-of-medical-ethics/>.

### **სასამართლოს გადაწყვეტილებები:**

European Court of Human Rights. (2006). Decision in the case of L.L. v. France;

European Court of Human Rights. (2004). Decision in the case of Glass v. the United Kingdom;

European Court of Human Rights. (2003). Decision in the case of Y v. Turkey;

House of Lords. (1997). Decision in the case of Bolitho v. City and Hackney Health Authority;

House of Lords. (1957). Decision in the case of Bolam v. Friern Hospital Management Committee;

House of Lords. (1951). Decision in the case of Cassidy v. Ministry of Health;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2025 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება № ას-1280-2023 სამოქალაქო საქმეზე;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2025 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება №ას-962 – 2024 საქმეზე.

### **სხვა დამხმარე მასალები:**

Coalition for Reducing Bureaucracy in Clinical Trials. (2021). Recommendations of the Coalition for Reducing Bureaucracy in Clinical Trials. <https://bureaucracyincts.eu/>;

Parliament of Georgia. (2019). Explanatory note to the draft law on “Personal Data Protection”. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/222087?> (In Georgian).